საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.48221397**
თარიღი:**19/05/2022**

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების

შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 17 მაისის N1/1-2712 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დამატებითი ქონების სახით დარეგისტრირდეს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მესხეთში მდებარე 30377 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N1 (ნანგრევი), N2 (ნანგრევი). საკადასტრო კოდი N29.13.35.120.

2. ეთხოვოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (უფროსი მ. კანკაძე).

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გრიგოლ ჭურაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ.
ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM